MES 1 23 0000393114

07/04/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი
გოჩა ტაბატაძე (მეუფე იეგუდიელი) - სკოლის დირექტორი

შპს კერძო სკოლა ინტელექტი
ეკატერინე მერკვილაძე - სკოლის დირექტორი

შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლა
მანანა ჩუხრუკიძე - სკოლის დირექტორი

შპს მომავლის ბიზნეს სკოლა
ნინო გაბრიჭიძე - სკოლის დირექტორი
გიორგი ნებიერიძე - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი
ქეთევან ბაცანკალაშვილი
მაკა ჭიაბერაშვილი

შპს კერძო სკოლა ინტელექტი
ცირა ნიკოლაშვილი
თამარ მიდელაშვილი

შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლა
ნანა მონიავა
ლევან ღურწკაია

შპს მომავლის ბიზნეს სკოლა
მაკა ტუკვაძე
ელენე კალანდაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 24 მარტს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კერძო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს მომავლის ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და მაკა ჭიაბერაშვილმა. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 იანვარს. ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება მოსწავლეებისთვის მაღალმთიანი სოფლებიდან გადასახადის გარეშე ახორციელებდა სწავლებას სამივე საფეხურზე. ასევე, დამატებით სავალდებულო და ფაკულტატურ სწავლებას, ტრანსპორტით მომსახურებას, კვების სერვისს. მისი განცხადებით, სკოლას ჰქონდა სათანადოდ კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი და გარე მოედანი, სახელოვნებო ოთახი, აგრეთვე იგეგმებოდა ჩოგბურთის კორტების მოწყობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დაწესებულების გეოგრაფიული მდებარეობა, რომლის კლიმატური პირობები ხშირად ქმნიდა სასწავლო პროცესისთვის ხელისშემშლელ გარემოებებს, რასაც სკოლის წარმომადგენლები ეფექტიანად უმკლავდებოდნენ.

ექსპერტის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ხელოვნებისა და ძერწვის წრე, რომლის მუშაობის შედეგებს წარმოადგენდა შენობაში გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები. მისი განმარტებით, სკოლის ძლიერ მხარედ მიიჩნეოდა დამრიგებლის ინსტიტუტის არსებობა და მათი მაღალი ჩართულობა მოსწავლეთა ცხოვრებაში.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანური რესურსის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 20 ადმინისტრაციული პერსონალი და 23 მასწავლებელი, მათ შორის, 16 უფროსი, 2 მოწვეული, 2 მაძიებელი, 1 უსტატუსო, შესაბამისი ხელშეკრულებით, 1 დამატებითი საგნის და 1 წრის მასწავლებელი.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლა მდებარეობდა დაბა სტეფანწმინდაში, თბილისის ქუჩა, N14 ა-ში, 10006 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. მასზე განთავსებული იყო ორი N1 და N2 შენობა, საერთო ფართით 3453,84 კვ,მ. ქეთევან ბაცანკალაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში 2018 წლიდან პანსიონი აღარ ფუნქციონირებდა კანონმდებლობასთან შეუსაბამობის მიზეზით, რომელიც ემსახურებოდა მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეებს. მისი განცხადებით, აღნიშნული ფართი სკოლამ შემდგომში მოაწყო დაწყებითი საფეხურისთვის, მოსასვენებელი სივრცეებით. შენობის შესასვლელში განთავსებული იყო ბეტონის პანდუსი, ხოლო შიგნით ხის პანდუსები. ექსპერტმა ისაუბრა კეთილმოწყობილი სახელოვნებო კაბინეტისა და სათანადოდ აღჭურვილი სპორტული დარბაზის შესახებ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ინვენტარის, საკლასო ოთახების, კომპიუტერული ტექნიკის, წიგნადი ფონდის საკმარისი რაოდენობა. ასევე, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. მან დაამატა, რომ სკოლა მოსწავლეთა ჩართულობით გამოცემდა საკუთარ გაზეთს.

ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, თუმცა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული დოკუმენტი შეიქმნა და გადაგზავნილ იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია „წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმების“, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის განახლების, სამედიცინო ინვენტარის დამატების, ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გაძლიერების თაობაზე (შენობა კონტროლდებოდა 22 ვიდეოკამერის საშუალებით, თუმცა კიბის უჯრედები საჭიროებდა დამატებით კამერებს). ქეთევან ბაცანკალაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში არ იყო ასახული თანამშრომელთა მიერ ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ ნასამართლეობის ცნობების წარდგენის ვალდებულების შესახებ ჩანაწერი. მან, ასევე, ისაუბრა სკოლის ვებ-გერდზე ინფორმაციიის განახლების აუცილებლობის თაობაზე. ქეთევან ბაცანკალაშვილის განმარტებით, დაწესებულებამ ვიზიტის შემდეგ დაიწყო აღნიშნული შეუსაბამობების აღმოფხვრა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის დოკუმენტების, შინაგანაწესის და დებულების რეგულირების სფეროები საჭიროებდა გამიჯვნას. გარდა ამისა, შინაგანაწესში არ იყო ფორმულირებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, წახალისების ფორმები, შრომის ანაზღაურების წესი, მასწავლებელთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესი კი საჭიროებდა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. ქეთევან ბაცანკალაშვილმა, ასევე, ისაუბრა მართვის დებულების ცალკეული პუნქტების შეუსაბამობების შესახებ მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოსწავლის გარიცხვის წესის დაზუსტებისა და შინაგანაწესში ასახვის შესახებ, მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის, ექსტერნატის გამოცდების, გაცდენების, შეფასების სისტემის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. თუმცა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა დაამატა, რომ აღნიშნული შეუსაბამობები სასკოლო პრაქტიკაში არ ფიქსირდებოდა.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა დაწესებულებაში არსებული პოზიტიური კლიმატი, ღიაობა და მიმღებლობა. მისი განცხადებით, სკოლამ გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაციები და მზაობა გამოთქვა მათ შესრულებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიგნებები და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ქმნიდა ნათელ სურათს დაწესებულების საქმიანობის შესახებ, თუმცა დაინტერესდა შენობის გარე და შიდა პანდუსების შესახებ. ქეთევან ბაცანკალაშვილმა უპასუხა, რომ დაწესებულების შესასვლელში იყო ცემენტის, მყარი კონსტრუქციის პანდუსი, ხოლო შიგნით მოძრავი ხის პანდუსები. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა დაადასტურა, რომ სკოლის ეზო იყო ტერასული განლაგების და შენობას ჰქონდა გრძელი პანდუსი აღმართზე ასასვლელად.

საბჭოს თავმჯდომარის, დავით მალაზონიას განმარტებით, ექსპერტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში პროცესები ხორციელდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა მიზანშეწონილი იყო მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა დოკუმენტაციაშიც. მან ყურადღება გაამახვილა დაწესებულებაში ახალი კადრის მიღების წესთან დაკავშირებით დოკუმენტებში ასახული რეგულაციების თაობაზე და აღნიშნა, რომ სკოლის პრაქტიკაში პროცესები ხორციელდებოდა კანონმდებლობის მიხედვით.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა დაწესებულების ხელმძღვანელს, თუ რა იყო მისი ხედვა და გეგმები სკოლის განვითარების თაობაზე. დაწესებულების

წარმომადგენელმა, გოჩა ტაბატაძემ (მეუფე იეგუდიელი) აღნიშნა, რომ დაწესებულება ნამდვილად განსხვავებულ კლიმატურ პირობებში არსებობდა, რაც ხშირად ხდებოდა მისი ფიზიკური იზოლაციის მიზეზი, ბევრი თანამშრომელი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი და დასახლებულიყო სამუშაო ადგილთან ახლოს. მან, ასევე, განაცხადა, რომ სკოლა დაარსებული იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ხელშეწყობით და აღნიშნა, რომ სკოლის მიმართ მოსახლეობას ჰქონდა მაღალი ნდობა, რაზეც დაწესებულების მოსწავლეთა რაოდენობაც მეტყველებდა. სკოლას ჰყავდა ფსიქოლოგი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ერთვებოდა პროცესებში. დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ყაზბეგი ტურისტულ რეგიონს წარმოადგენდა და სკოლა ამ მიმართულებითაც ცდილობდა დასაქმებული თანამშრომლების ხელშეწყობას.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის ხელმძღვანელს ტურისტული სფეროს გაძლიერების კუთხით ხომ არ გეგმავდა სკოლა პროფესიული პროგრამების ინტეგრირებას სასწავლო პროგრამებში. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მომავალში გაითვალისწინებდნენ აღნიშნულ საკითხს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 250 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონისავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონს (ს/კ: 241499703) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული ენა.

2. შპს კერძო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ცირა ნიკოლაშვილმა და თამარ მიდელაშვილმა. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 14 და 15 თებერვალს. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის გარე და შიდა ინტერიერი ქმნიდა კეთილმოწყობილ, სამუშაო გარემოს და სკოლის ესთეტიკურ მხარეს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. შექმნილი იყო ხელშემწყობი სამუშაო გარემო, როგორც პერსონალისთვის, ასევე, მოსწავლეთათვის. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მისია შეესაბამებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეროვნულ სასწავლო გეგმას. სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყო სკოლის მისიისა და დასახელებული დოკუმენტაციის მიზნების მიღწევაზე. საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლა იყენებდა საათობრივი ბადის მესამე მოდელს, რომელიც შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ხოლო ინგლისურ ენაში გამოიყენებოდა „მაკმილანის“ სახელმძღვანელო. აღნიშნული დასტურდებოდა შეთანხმების წერილით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ასევე, ექსპერტის ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ საშუალო საფეხურზე სკოლას ჰქონდა არჩევითი საგნები და დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებები, რომელთა სტატუსიც გამიჯნული იყო სასკოლო სასწავლო გეგმით. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა ისაუბრა მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაზე და აღნიშნა, რომ სასკოლო აქტივობები იყო მრავალფეროვანი. კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებდა კლუბები, რომელთა აქტიურად მუშაობას და მათში ჩართულობას მოსწავლეები ადასტურებდნენ. ასევე, ხელშეწყობილი იყო მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირება, იმართებოდა კონფერენციები, მიმდინარეობდა სხვადასხვა თემატური დღეების აღნიშვნა და მოწვეულ სტუმრებთან მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ ი ს შ ე ხ ვ ე დ რ ა .

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სასკოლო შეფასების სისტემა სრულად შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. მიმდინარე წელს იგეგმებოდა წლიური გამოცდები საბაზო და საშუალო საფეხურებზე (X-XI კლასებში), გამოცდის პროცედურა სრულად ელექტრონული ფორმით იგეგმებოდა, ხოლო გამოცდის დავალების ტიპებად გამოიყენებოდა დახურული ტიპის შეკითხვები. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, წლიურ გამოცდაზე მოსწავლეებისათვის შეთავაზებული ყოფილიყო კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები. გარდა ამისა, II-XII კლასის ჩათვლით ტარდებოდა რეიტინგული წერა. წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში ერთმნიშვნელოვნად არ იყო განსაზღვრული რეიტინგული წერის ქულის სტატუსი. ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ სკოლას დაეზუსტებინა რეიტინგული წერის სტატუსი და ერთმანეთისგან გაემიჯნა რეიტინგული და შემაჯამებელი წერა, რათა პროცესი უფრო მეტად პროგნოზირებადი ყოფილიყო. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მხრიდან აღნიშნული რეკომენდაცია იქნა მხედველობაში მიღებული.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, დ/დიღომი III მ/რ. მირიან მეფის ქ.#69. შენობის ფართი შეადგენდა 2329.18 კვ.მ-ს, შენობის ნაწილში განთავსებული იყო საბავშვო ბაღი, რომელიც დოკუმენტურად და ფაქტობრივად გამიჯნული იყო სასკოლო სივრცისაგან. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში მოსწავლეთა არსებული რაოდენობა შეადგენდა 264 მოსწავლეს. სკოლაში იყო 25 საკლასო ოთახი. ექსპერტის თქმით, სკოლაში მაქსიმალურად დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, საკლასო ოთახებში წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები, მასწავლებელთათვის ხელმისაწვდომი იყო ლეპტოპები, რითაც უზრუნველყოფილი იყო საჭირო რესურსის გამოყენება საგაკვეთილო პროცესის დროს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში განთავსებული იყო კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი იყო ინტერნეტში მუდმივად ჩართული კომპიუტერებით. ასევე, სკოლაში იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სადაც აქტიურად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, განთავსებული იყო ცდებისთვის სადემონსტრაციო მაგიდა, რომელიც აღჭურვილი იყო ყველა საჭირო ინვენტარით. ექიმის ოთახი აღჭურვილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ყველა საჭირო ინვენტარით. ექსპერტის განმარტებით, სააქტო დარბაზში აქტიურად მიმდინარეობდა ღონისძიებები, აღჭურვილი იყო თოჯინების თეატრის მოწყობილობითა და სადემონსტრაციო დაფით. ექსპერტის თქმით, სკოლის ეზოში განთავსებული იყო ღია სპორტული მოედანი, ხოლო სკოლის შენობაში იყო ორი სპორტული დ ა რ ბ ა ზ ი .

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობდა ფსიქოლოგი, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა სამოქმედო გეგმა. იგი უძღვებოდა კლუბს, რომლის სახელწოდებაც იყო „საუბრები ფსიქოლოგთან“. ექსპერტმა დაამატა, რომ ფსიქოლოგი გარდა მოსწავლეებისა, ასევე, აქტიურად მუშაობდა მასწავლებლებთან და ატარებდა ტ რ ე ნ ი ნ გ ე ბ ს .

ექსპერტ, ცირა ნიკოლაშვილის განცხადებით, სკოლას ჰქონდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. ეტლით მოსარგებლეთა კიბეებზე გადაადგილებისათვის სკოლას ჰქონდა სპეციალური მოწყობილობა „მუხლუხო“, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იყო სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ გამოვლენილი იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან შეუსაბამობა. კერძოდ, შეუსაბამობა შეეხებოდა ადაპტირებული სველი წერტილის კარს, რომლის სიგანე არ იძლეოდა ეტლით მოსარგებლე პირის გადაადგილების შესაძლებლობას. ექსპერტის თქმით, სკოლის მიერ აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა, სკოლამ დასკვნის პროექტში არსებული გარემოებების პასუხად არგუმენტირებული პოზიციის სახით წარადგინა ფოტო-მასალა, რომელიც ადასტურებდა, რომ ადაპტირებული სველი წერტილის კარი იყო გაფართოვებული. მეორე შეუსაბამობა ეხებოდა ვიდეომეთვალყურეობის სისტემას. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ შიდა და გარე პერიმეტრზე რამდენიმე მონაკვეთში არ იყო დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო, წარმოდგენილი იქნა შესყიდვის დოკუმენტაცია. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა 61 დასაქმებული პირი, რაც სრულად უზრუნველყოფდა სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დაგეგმილ სასწავლო პროცესის განხორციელებას. მათ შორის იყო 34 მასწავლებელი, რომელთაგან 25 მასწავლებელს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, მოწვეული იყო 3 მასწავლებელი, ხოლო მაძიებელი 4, დამატებით სავალდებულო საგანს ა ს წ ა ვ ლ ი დ ა

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი .

ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, კერძოდ,

ჭადრაკის მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულ პირს არ ჰქონდა მასწავლებლის სტატუსი და არც აკადემიური სტატუსი. გაიცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ პოზიციაზე სკოლას დაესაქმებინა შესაბამისი სტატუსის მქონე მასწავლებელი, რასთან დაკავშირებითაც სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია. ასევე, გამოიკვეთა, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათემატიკისა და ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე დასაქმებული იყო ერთი პიროვნება. თანამდებობრივი მოვალეობის ეფექტიანად შესრულების მიზნით, ექსპერტთა მხრიდან, ასევე, გაიცა რეკომენდაცია და სკოლამ ამ შემთხვევაშიც გამოაცხადა ვაკანსია მათემატიკის მასწავლებლის პოზიციაზე. ექსპერტის განმარტებით, სკოლას, ასევე, არ ჰყავდა სპეციალური მასწავლებელი. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში ირიცხებოდა 1 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელიც საჭიროებდა სპეციალურ მასწავლებელს, ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია სპეციალური მასწავლებლის დამატების თაობაზე და ამ შემთხვევაშიც სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და გამოცხადდა ვაკანსია. ცირა ნიკოლაშვილის თქმით, სკოლას ჰყავდა ექიმი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი პედიატრიის მიმართულებით. ექსპერტებმა აღნიშნულთან დაკავშირებითაც გასცეს რეკომენდაცია და სკოლამ ვიზიტის პერიოდში გამოაცხადა ვაკანსია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნების შესაბამისი კადრის მოძიების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს, შედიოდა თუ არა სადიაგნოსტიკო წერები რაოდენობრივად მინიმალურ შესასრულებელ შემაჯამებელი წერების რაოდენობაში. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა უპასუხა, რომ რეიტინგული წერები შედიოდა შემაჯამებელი წერების რაოდენობაში, თუმცა რეიტინგული წერების შეფასების ინსტრუმენტი ყოველთვის შეიძლება არ ყოფილიყო კომპლექსური კონტექსტის მქონე შეფასების ინსტრუმენტი. აქვე, პეტრე ბაბილუა დაინტერესდა, თუ რამდენად შეაფასეს ექსპერტებმა პროცესში კომპლექსური დავალებები და ხომ არ ახორციელებდა სკოლა სადიაგნოსტიკო წერების შედეგების ანალიზს, რა ინტერვენციები მოჰყვებოდა და რამდენად იყო ამ წერების ანალიზი სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში გამოყენებული. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ მასწავლებლების კომპლექსური დავალებებით მუშაობა ნამდვილად დასტურდებოდა სკოლაში, ხოლო რაც შეეხებოდა სადიაგნოსტიკო წერების ანალიზს, აღნიშნული ხორციელდებოდა დირექციის ორგანიზებით და ის მიზნობრიობა, რომელიც გაცხადებული ჰქონდათ სკოლის დოკუმენტაციაში სწორად სრულდებოდა. რეიტინგული წერების ციკლი, ასევე ამოწმებდა სასწავლო პროცესსა და სტანდარტების შედეგების მიღწევასაც გარკვეულწილად. გარდა ამისა, მუშაობდა მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემა, როდესაც იკვეთებოდა ამის საჭიროება, რეიტინგული წერების ან დამრიგებლის ინფორმაციის საფუძველზე ინიშნებოდა ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლესთან.

საბჭოს წევრის, შალვა მეკრავიშვილის კითხვა შეეხებოდა მოქალაქეობის საგანს, რომელსაც ყველა კლასში ჰქონდა დაკლებული საათი. ის დაინტერესდა, თუ რამდენად იძლეოდა შემცირებული საათობრივი ჩარჩო იმ მიზნების მიღწევის საშუალებას, რაც მოქალაქეობის საგნით იყო დასახული და ხომ არ იყო აღნიშნული დანაკლისი დაკომპენსირებული რაიმე სახით. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ სკოლაში მიმდინარეობდა პროექტული სწავლება, მოსწავლეები ახორციელებდნენ პროექტებს და ის კონფერენციები, რომელიც სემესტრში ორჯერ იმართებოდა, იყო აღნიშნული პროექტების წარმოჩინებისთვის. გარდა ამისა, სკოლაში იმართებოდა თემატური დღეები, რაც ხელს უწყობდა მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირებას. ამ მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ საათობრივი დანაკლისი იყო კომპენსირებული. სკოლის

დირექტორმა, ეკატერინე მერკვილაძემ განმარტა, რომ სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებდა დებატების კლუბი. მისი თქმით, კლუბის მუშაობა იმგვარად იყო გაწერილი, რომ მოსწავლეებს რამდენიმე კლუბში ერთად მონაწილეობის უფლება ჰქონდათ.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, თუ რამდენად ჰქონდა სკოლას გათვლილი რისკები, რადგანაც საჯარო რეესტრის ამონაწერში სკოლას უფიქსირდებოდა 2 იპოთეკარი. სკოლის დირექტორმა, ეკატერინე მერკვილაძემ უპასუხა, რომ რისკები მინიმალური იყო, რადგან დამფუძნებლები, რომლებსაც უფიქსირდებოდათ იპოთეკური ვალდებულება, ფლობდნენ სხვა ბიზნეს შემოსავლებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 430 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კერძო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 430 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს კერძო სკოლა ინტელექტს (ს/კ: 405011810) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 430 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული ენა.

3. შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და ლევან ღურწკაიამ. ექსპერტ, ნანა მონიავას განცხადებით, დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 9 და 10 თებერვალს ქალაქ გორში, ცხინვალის გზატკეცილ N9-ში. ექსპერტმა, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ საათობრივი ბადის მიხედვით, არ ხდებოდა მე-10 კლასის ისტორიის საათების გადანაწილება, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებობდა ჩანაწერი, რის მიხედვითაც აღნიშნული საგანი იყო გათვალისწინებული. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში, 2022-2023 სასწავლო წელს სკოლას არ ჰყავდა მე-10 კლასი, შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის მოთხოვნები მოსწავლეების შედეგებთან მიმართებით არ დარღვეულა. ექსპერტმა, ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ დაწესებულება სარგებლობდა იჯარის ხელშეკრულებით 2030 წლის ჩათვლით. დაწესებულების საერთო ფართი შეადგენდა 2964 მ², რომელიც მდებარეობდა 3860 მ² მიწის ნაკვეთზე. ნანა მონიავას თქმით, შენობის ნაწილი იყო ორ სართულიანი, ხოლო ძირითადი შენობა იყო სამ სართულიანი. მესამე სართული იყო ჩაკეტილი, პირველ სართულზე კი განთავსებული იყო 110 მ² სპორტული დარბაზი, სადაც მდებარეობდა სააქტო დარბაზი და საკონფერენციო ოთახი. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში იყო 12 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით. კერძოდ, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეზოში მოწყობილი იყო კალათბურთის ორი ფარი, დაწესებულებაში, ასევე, იყო კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. ექსპერტ, ნანა მონიავას განცხადებით, სკოლაში იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით. დაწესებულების წიგნადი ფონდი მოიცავდა მხატვრული ლიტერატურის 3097 ერთეულს და 1354 სასკოლო სახელმძღვანელოს.

ექსპერტ, ნანა მონიავას განმარტებით, სკოლას ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი და პანდუსი, თუმცა შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე.

ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია, რომელიც სკოლას უკვე მიღებული ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების სამსახურისგან, რათა სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, დროულად დაემონტაჟებინათ გასასვლელის მანიშნებლები. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ გადმოაგზავნა აღნიშნული საკითხის აღმოფხვრის შესაბამისი მტკიცებულებები. ნანა მონიავას თქმით, დაწესებულებას თვალსაჩინო ადგილას ჰქონდა გამოკრული ევაკუაციის გეგმები.

ექსპერტ, ნანა მონიავას განცხადებით, სკოლას გაგზავნილი ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის პროექტი (13.01.2022) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად, რის პასუხადაც მიიღო რეკომენდაციები, შეიტანა ცვლილებები, თუმცა აღარ იყო გადაგზავნილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კორექტირებული დოკუმენტი. ექსპერტებისგან რეკომენდაციის მიღების შემდეგ, ვიზიტის პერიოდშივე სკოლის მიერ გადაიგზავნა კორექტირებული პროექტი შესათანხმებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი ყველა მოთხოვნილი ინვენტარით და ჰყავდა სკოლის კონტიგენტზე გათვლილი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი.

ექსპერტ, ნანა მონიავას განმარტებით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სკოლის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც გამომდინარეობდა დაწესებულების მისიიდან, რაც, ასევე,

ითვალისწინებდა მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. ექსპერტების მიერ სკოლას მიეცა რჩევა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული განვითრების გეგმა წარმოდგენილი ყოფილიყო, როგორც ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი დოკუმენტი.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას ჰყავდა 29 პედაგოგი, მათგან 5 იყო მოწვეული, 2 მაძიებელი, ხოლო 22 უფროსი მასწავლებელი.
ექსპერტის განმარტებით, მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, აღმოჩნდა რომ ისინი იყვნენ ინფორმირებულები სკოლის შიდა სასკოლო ცხოვრების შესახებ. სკოლას ჰქონდა ბევრი აქტივობა, რომელიც ორიენტირებული იყო სამოქალაქო ღირებულებების გაძლიერებისკენ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაცია იყო ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგებული. სკოლას ჰქონდა მზაობა და ზრუნავდა განვითარებაზე.
ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამ განაცხადა, რომ სკოლაში იყო განვითარებაზე ორიენტირებული გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და ექსპერტებს, თუ რამ განაპირობა საათობრივ ბადეში გამორჩენილი საქართველოს ისტორიის საათები და გამოსწორდა თუ არა არსებული ხარვეზი. სკოლის დირექტორმა, მანანა ჩუხრუკიძემ უპასუხა, რომ ისტორიის აღნიშნული 2 საათი იყო მსოფლიო ისტორიის საათებთან გამორჩენილი და არა საქართველოს ისტორიის საათებთან გაწერილი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას მიიღო საპასუხო წერილი სამინისტროსგან საათობრივი ბადის შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომელსაც მოგვიანებით გაუზიარებდა საბჭოს წევრებს.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს სკოლის სახელწოდებასთან დაკავშირებით. აქვე, საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, დაუშვებელი იყო დაწესებულების სახელწოდება ყოფილიყო შეცდომაში შემყვანი. ზვიად გოგუაძის აზრით, დაწესებულებას უნდა შეეცვალა დასახელება, როგორც სკოლისთვის, ასევე, თავისი ვებ-გვერდისთვისაც. დაწესებულების დირექტორმა, მანანა ჩუხრუკიძემ განაცხადა, რომ შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლა თავდაპირველად აპირებდა ვაშინგტონის უნივერსიტეტთან მემორანდუმის გაფორმებას, რომელიც სკოლაში გეგმავდა ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებას. სკოლამ გაატარა იმ დროისთვის ყველა საჭირო ღონისძიება პოპულარიზაციისთვის, თუმცა საბოლოოდ ვერ მოხერხდა ინგლისურენოვანი სექტორის სკოლაში დამკვიდრება მოსწავლეთა კონტიგენტის სიმცირის გამო.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ სკოლის სახელი შეუსაბამო იყო დაწესებულების საქმიანობასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ამერიკის უნივერსიტეტი არ ახორციელებდა არანაირი სახის პროგრამას აღნიშნულ სკოლაში. დავით მალაზონიამ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, თუ რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნული საკითხი საქართველოს კანონმდებლობას. ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განაცხადა, რომ განახლებული სტანდარტებისა და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სკოლებს ჰქონდათ ვალდებულება 2024 წლის 1 სექტემბრამდე შესაბამისობაში მოეყვანათ საკუთარი სახელწოდება დაწესებულების საქმიანობასთან.
დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 280 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 280-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლას (ს/კ: 217881326) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 280-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე შესაბამისობაში მოეყვანა დაწესებულების სახელწოდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზვრულ რეგულაციასთან და აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა ცენტრისთვის.

საბჭოს სხდომას 16:50 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი.

4. შპს მომავლის ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და ელენე კალანდაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართვა კითხვით, თუ რამდენად იყო სკოლის სახელწოდება, „მომავლის ბიზნეს სკოლა“ შინაარსობრივად კავშირში სკოლის საქმიანობასთან.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებმა სკოლას კითხვით მიმართეს დაწესებულების სახელწოდებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მისიის გაცნობისას მისიისა და სათაურის კვეთა ერთმანეთის თანხვედრაში ვერ დაინახეს. ექსპერტის თქმით, სკოლამ შეცვალა მისია და სურდა სახელის შეცვლაც. მიმდინარეობდა სკოლის დასახელებასთან დაკავშირებით კონკურსი, აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. შესაბამისად, სკოლა გეგმავდა სახელწოდების ცვლილებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა ექსპერტს, საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესთან რამდენად იყო კავშირში, გათვალისწინებული იყო თუ არა სამეწარმეო უნარების განვითარება, რაც ისედაც იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, თუ რაიმე დამატებით სხვა პროგრამას სთავაზობდა სკოლა მოსწავლეებს. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ ბიზნესის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, I-VI კლასებისათვის სკოლას შესყიდული ჰქონდა პროგრამა „Junior Achievement – Georgia”.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 15, 16 და 17 თებერვალს. შპს მომავლის ბიზნეს სკოლა მდებარეობდა ქ. ზესტაფონში, გურამიშვილის ქ.№32-ში. საჯარო რეესტრის ამონაწერით სკოლასა და აღნიშნულ მისამართზე განთავსებული შენობის მეპატრონეს შორის გაფორმებული იყო უვადო იჯარის ხელშეკრულება. მიწის ნაკვეთის ფართობი იყო 1445 კვ.მ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1 -683.1 კვ.მ., N2 - 247.5 კვ.მ., N3 - 47.6 კვ.მ. სკოლა იყენებდა N1 (683.1კვ.მ.) ორსართულიან შენობას, სადაც მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და N3 (47.6კვ.მ.) შენობა-ნაგებობას, სადაც განთავსებული იყო ცენტრალური გათბობის სისტემები, რომელშიც დაცული იყო უსაფრთხოების ნორმები. სულ სკოლისთვის განკუთვნილი იყო 730,7 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობა. ასევე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლის ეზოში განთავსებული იყო საბავშვო ბაღი, რომელიც გამიჯნული იყო სკოლისგან. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ საავტორიზაციო მასალებში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით (23/06/2023), სკოლის მისამართად დაფიქსირებული იყო ქ. ზესტაფონი, გურამიშვილის ქ. N36, ხოლო დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში, სკოლის ვებ-გვერდზე და სამეწარმეო ამონაწერში სკოლის მისამართი იყო ქ. ზესტაფონი, გურამიშვილის N32. სკოლის მისამართის დასაზუსტებლად, საჯარო რეესტრში ვიზიტის პერიოდში გაკეთდა განაცხადი და გასწორდა საჯარო რეესტრის ტექნიკური ხარვეზი.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში სულ განთავსებული იყო 13 საკლასო ოთახი. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლას არ ჰყავდა მე-10 კლასი, ხოლო პირველი კლასი წარმოდგენილი იყო ორი პარალელური ჯგუფით. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრული იყო 17 მოსწავლით. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო 220 მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული ერთადგილიანი მერხით და შესაბამისი რაოდენობის სკამით, მასწავლებლის მაგიდებით და სასკოლო დაფებით. სკოლის მფლობელობაში იყო 220 ინდივიდუალური მერხი და სკამი, 17 კომპიუტერი, პრინტერი და 15 სასკოლო დაფა. საკლასო ოთახებში განთავსებული იყო მიზნობრივი სასწავლო რესურსები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და კომპიუტერული კლასი, აღჭურვილი შესაბამისი რესურსით. სკოლის ეზოში მოწყობილი იყო 128 კვ. მ ფართის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. შენობის პირველ სართულზე ასევე, იყო დახურული დარბაზი სპორტული აქტივობებისთვის განკუთვნილი (69.2 კვ მ) სივრცე, სადაც განთავსებული იყო ტენისის მაგიდა. ამავე ფართს სკოლა იყენებდა სააქტო დარბაზისთვისაც.

ექსპერტის განმარტებით, სკოლაში განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები. ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიული აღჭურვილობა განთავსებული იყო ცალ-ცალკე კარადებში. ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყო დიდი სადემონსტრაციო მაგიდა, ასევე, დამონტაჟებული იყო ხელსაბანი. ლაბორატორიას ჰქონდა დიდი ფანჯარა, რაც უზრუნველყოფდა ოთახის განიავებას. ვიზიტის დროს, უსაფრთხოების მიზნით კარადებს გაუკეთდა საკეტები. ყველა ქიმიურ რეაქტივს ჰქონდა თავისი დასახელება და შენახული იყო უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიული სამუშაოს შესრულების შემდეგ, მოსწავლეების მიერ ხდებოდა შესრულებული დავალების შესახებ ოქმების მომზადება, სადაც გაწერილი იყო გამოყენებული ქიმიური რეაქტივების რაოდენობა, ქიმიური ცდების მიმდინარეობა და კვლევის შედეგები.

რაც შეეხებოდა სკოლის სველ წერტილებს, სკოლაში იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო 6-6 განყოფილებიანი სველი წერტილები ბიჭებისთვის, გოგონებისთვის და, ასევე, ადაპტირებული სველი წერტილი (ბიჭებისთვის და გოგონებისთვის ცალ- ცალკე).

ყველა საკლასო ოთახს ჰქონდა ბუნებრივი განათება. დამონტაჟებული იყო გათბობის ცენტრალური სისტემა. სკოლას ელექტროენერგია მიეწოდებოდა უწყვეტად, საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა გენერატორის კვებაზე ავტომატურ რეჟიმში გადართვა.

მაკა ტუკვაძის განმარტებით, სკოლის ბიბლიოთეკაში კლასების მიხედვით სრულად იყო წარმოდგენილი ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძრვანელოები. სკოლის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და წიგნადი ფონდის შევსება განსაზღვრული იყო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით. სკოლას ჰქონდა კომპიუტერული კლასი, ინტერნეტში ჩართული 2 პერსონალური კომპიუტერი და 15 ლეპტოპი, მათ შორის 12 ლეპტოპი განთავსებული იყო ისტ-ის კაბინეტში. სკოლას ჰქონდა 1 პრინტერი და 1 პროექტორი. სკოლაში დამონტაჟებული იყო WIFI-ს სისტემა.

ექსპერტ, მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლას ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების შენობაში, განთავსებული იყო 4 ცეცხლმაქრი და გასასვლელის მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები. ასევე, სკოლას დამტკიცებული ჰქონდა შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის და რეაგირების გეგმა, რომელიც შეთანხმების პროცესში იყო საქართველოს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლის შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება განხორციელდა 2019 წლის 16 ოქტომბერს. როგორც სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის №1673 მიწერილობიდან ჩანდა სკოლის შენობის მეორე სართულისთვის უნდა მოწყობილიყო სათადარიგო გასასვლელი. სკოლის დირექტორის განმარტებით, პანდემიის პირობებში ვერ მოხერხდა შენობის სათადარიგო გასასვლელით უზრუნველყოფა. ვიზიტის პერიოდში უკვე მიმდინარეობდა აღნიშნულ საკითხზე მუშაობა, მოხდა ფინანსური დაანგარიშება. სტრატეგიულ გეგმაში გაიწერა შესაბამისი ღონისძიებების ვადები და პასუხისმგებელი პირები. ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლას უზრუნველეყო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის №1673 მიწერილობის შესაბამისად განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა სამედიცინო კაბინეტი. სკოლაში დასაქმებული იყო ექთანი, რომელთანაც გაფორმებული იყო კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. დაწესებულებამ წარმოადგინა ექთნის მიერ წარმოებული ჟურნალი მოსწავლეთა და პერსონალის მიმართვიანობისა და გახარჯული მედიკამენტების შესახებ. სამედიცინო კაბინეტში განთავსებული იყო სამედიცინო ტახტი, წამლებისთვის და პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო ინვენტარის კარადა, მაცივარი, სამედიცინო პერსონალის მაგიდა და სკამი. ვიზიტის დროს, სამედიცინო კაბინეტში არ იყო ხელსაბანი და სამედიცინო

ტახტი გამიჯნული არ იყო შირმით ოთახის დანარჩენი სივრცისგან. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში შეიძინა ხელსაბანის მოსაწყობად საჭირო ინვენტარი, სამედიცინო ტახტის გასამიჯნი შირმა და გამოაცხადა ექიმის ვაკანსია.
მაკა ტუკვაძის განმარტებით, სკოლაში იყო უსაფრთხო გარემო, სკოლის მთელი პერიმეტრი შემოღობილი იყო და ჯამში კონტროლდებოდა 17 ვიდეოკამერით. სკოლის ეზოს შესასვლელში დამონტაჟებული იყო გამშვები დეტექტორი და მოქმედებდა საბარათე სისტემა. შენობის შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება ხდებოდა კიბის უჯრედებში, დერეფნებში, ასევე, პირველი და მეორე სართულის ფოიეში. სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებდა 6 კამერა.
ექსპერტის თქმით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლა იყენებდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საათობრივი დატვირთვის პირველ მოდელს. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სახით, სკოლაში გათვალისწინებული იყო გახანგრძლივებული, კლუბური და წრეობრივი მუშაობა დღის მეორე ნახევარში 14:00 სთ-დან 16:00 სთ- მდე. მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით ფუნქციონირებდა საგნობრივი წრეები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო საგნებში კლასების მიხედვით. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 7 საგნობრივი კათედრა. კათედრის პორტფოლიოებში წარმოდგენილი იყო აქტივობები. ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს და ინერგებოდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა. ძირითადად იყენებდნენ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ კომპლექსური დავალებების ბანკს.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავდა ერთი სსსმ მოსწავლე. სსსმ მოსწავლის პორტფოლიო მოიცავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ფორმას, ბრძანებას (№01-05) ინკლუზიური განათლების კოორდინატორის განსაზღვრისა და სამუშაო (ისგ) ჯგუფის შექმნის შესახებ, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას საგნების მიხედვით, ისგ სხდომის ოქმებს და სსსმ მოსწავლის მიერ განხორციელებულ შემაჯამებელ/კომპლექსურ დავალებებს. სხდომის ოქმიდან (№ 2; 27/12/2022) ჩანდა, რომ სსსმ მოსწავლეს წინსვლა ჰქონდა სწავლაში. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა, მშობელთა ინფორმირების წესი, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მიზნით სკოლაში შექმნილი იყო მშობელთა სათათბირო. სათათბირო იყო მშობელთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აერთიანებდა სკოლის მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს საფეხურების მიხედვით. ასევე, სკოლაში შემუშავებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, ექსპერტების მიერ დადებითად შეფასდა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის საქმიანობა.
ადამიანური რესურსების კუთხით, ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს მომავლის ბიზნეს სკოლას სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის ჰყავდა შესაბამისი აკადემიურ-ტექნიკური პერსონალი. სკოლაში სულ დასაქმებული იყო 36 თანამშრომელი, მათგან 27 იყო მასწავლებელი, რომელთაგან 23-ს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 1 იყო წამყვანი, 2 მაძიებელი და 1 მოწვეული მასწავლებელი.
ექსპერტის თქმით, მომავლის ბიზნეს სკოლაში იყო დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. დაწესებულების ძლიერი მხარე კი იყო ახალგაზრდა კადრებისათვის ცოდნის გაზიარება და პროფესიულ წინსვლაში ხელშეწყობა. სკოლა ზრუნავდა თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზეც, მზარეულს გავლილი ჰქონდა „ჰასპის“ პროგრამის მომზადების კურსი. გაფორმებული იყო მემორანდუმი შპს ქი ქონსთალთინგთან, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებს გავლილი ჰქონდათ
სხვადასხვა ტრენინგი. სკოლის ადმინისტრაცია ზრუნავდა პროფესიული კადრის მოზიდვაზე, მათი ხელფასები საჯარო სკოლის ხელფასების შესაბამისად იყო გათვალისწინებული. წარჩინებული მოსწავლეებისათვის, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და შემდგომი განვითარებისათვის სკოლას დაწესებული ჰქონდა დირექტორის სტიპენდია. სკოლაში მხარდაჭერილი იყო მოსწავლეთა ინიციატივები, კერძოდ, მე-11 კლასის მოსწავლემ შექმნა

ჭადრაკის სასკოლო პროგრამა. სკოლას განზრახული ჰქონდა აღნიშნული მოსწავლის ფინანსური კუთხით მხარდაჭერა, რათა შემდგომ მომხდარიყო ამ პროგრამის დანერგვა სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სკოლას ბევრი კომპლექსური დავალება ჰქონდა შექმნილი და შესრულებული, თუმცა მასალების შესწავლისას, მაინც ფიქსირდებოდა შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები ტესტური სახის დახურული და ღია კითხვებით. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ ექსპერტებმაც მისცეს ანალოგიური რეკომენდაცია სკოლას, თუმცა ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ საკმაოდ ბევრ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობდნენ. სკოლას ჰყავდა საგნობრივი ექსპერტებიც. ინგლისურის და ქიმიის პედაგოგებს საკუთარი კურიკულუმები ჰქონდათ შემუშავებული, შესაბამისად, სკოლაში შემუშავებული იყო კომპლექსური დავალებები და თემატური მატრიცები.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ ეროვნულ სასაწავლო გეგმაში მკაფიოდ იყო განსაზღვრული, თუ როგორი უნდა ყოფილიყო შემაჯამებელი დავალება. ეს მოიცავდა შემაჯამებელ დავალებას, რომელიც ცოდნათა ინტეგრირების გამოყენების საშუალებას იძლეოდა. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში არსებული ტესტები კი არ იძლეოდა აღნიშნულს. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ ადგილზე ვიზიტისას განსხვავებული ვითარება დახვდათ. კათედრების მიერ შემუშავებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები გაცილებით შინაარსიანი იყო, ვიდრე ვიზიტამდე წარდგენილ დოკუმენტებში ფიქსირდებოდა. სკოლას ჰყავდა ახალგაზრდა, მოტივირებული, კვალიფიციური, სერტიფიცირებული ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელსაც ექსპერტების მხრიდან მიეცა ზეპირი რეკომენდაციები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 220 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მომავლის ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს მომავლის ბიზნეს სკოლას (ს/კ: 430033849) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამების

განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე შესაბამისობაში მოეყვანა დაწესებულების სახელწოდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზვრულ რეგულაციასთან და აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა ცენტრისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა